ლავრენტი ჭუმბურიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი. 1979 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის ავტორია. ჰყავს მეუღლე და 3 ვაჟი.

განვლილი და მიმდინარე საქმიანობა

- თსუ აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სამეცნიერო გაერთიანება, ეკონომისტი (1979-1981). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სამეცნიერო გაერთიანება, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1981-1985).
- ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის განყოფილება, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1985-1990), განყოფილების გამგე (1990-2000).
- 2002 წლიდან სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი (აუდიტორი).
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის თავმჯდომარე (1999-2012), აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის წევრი (1995 2012).
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე (1998-2004).
- 2004 წლიდან მუშაობს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. არის რეფერირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მთავარი რედაქტორი.